



EUROPEAN UNION



# მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ახალი წილისა და პოსტნეულის ექსპორტის საკითხები

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს  
პიუნეს საჭმოს მიერ

თბილისი 2010



**ევროკავშირი 27** ევროპული სახელმწიფოს\* პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც თანდათანობით, 50 წლიანი ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა. დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საზღვრები ღიაა და ისინი საერთო სავაჭრო სივრცით და საერთო ვალუტით სარგებლობენ. ევროკავშირი მზადაა თავისი ფასეულობები და გამოცდილება სხვა სახელმწიფოებს გაუზიაროს. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდის მისამართზე [www.delgeo.ec.europa.eu](http://www.delgeo.ec.europa.eu)



**ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC)** ქართული და ევროპული კომპანიების მიერ 2006 წლის დასაწყისში, ბრიუსელში, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა. საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საქართველოსა და ევროკავშირის ნევრ ქვეყნებს შორის ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შესახებ იხილეთ ვებ-გვერდის მისამართზე [www.eugbc.net](http://www.eugbc.net)

\* აესტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და ჰოლანდია.

**მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ახალი  
ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის საკითხავი  
EXPORT OF FRESH FRUITS AND VEGETABLES TO EUROPEAN  
UNION MARKET FROM THIRD COUNTRIES**

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ

ავტორები: **კონსტანტინე ზალდასტანიშვილი**  
**თათია ჯულაყიძე**

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

© European Commission

ISBN 978-9941-0-2619-5

**ს ა რ ჩ ე ბ ი**

1.	შესავალი .....	3
2.	ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგული სტანდარტები .....	5
3.	სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ციტრუსებისთვის .....	14
4.	ჯანმრთელობის და ფიტოსანიტარული მოთხოვნები მცენარეებსა და მცენარეულ პროდუქტებზე .....	20
5.	ევროკავშირის მოთხოვნები სურსათის უვნებლობასა და ჰიგიენაზე .....	25
დანართი 1	ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის ფორმა .....	32
დანართი 2	ახალი ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გამოყენების სერტიფიკატის ფორმა .....	33
დანართი 3	ფიტოსანიტარული სერტიფიკატის ფორმა .....	34
დანართი 4	მცენარის გადაადგილების დოკუმენტი .....	36
დანართი 5	პუბლიკაციაში გამოყენებული ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტები .....	37
Summary	Export of Fresh Fruits and Vegetables from Third Countries to the European Union Market .....	38



## 1. შესავალი

მესამე ქვეყნებიდან<sup>1</sup> ახალი ხილისა და ბოსტნეულის<sup>2</sup> ევროკავშირის ბაზარზე იმპორტის წესების უმრავლესობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის და როგორც ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებს, ასევე სურსათის ჰიგიენისა და უვნებლობის ზოგად მოთხოვნებს მოიცავს. წინამდებარე პუბლიკაცია აღწერს აღნიშნულ სტანდარტებს და ევროკავშირის შიდა ბაზრის იმ მოთხოვნებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მესამე ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან, ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისთვის.

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო (მათ შორის ახალი ხილისა და ბოსტნეულის) ბაზრის ერთიან ორგანიზებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მარკეტინგის წესებს, სპეციფიკურ დებულებებს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისთვის, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის რეჟიმებს ევროკავშირის საბჭოს 2007 წლის 22 ოქტომბრის No 1234/2007 რეგულაცია განსაზღვრავს.

ევროკავშირის საბჭოს ზემოთ აღნიშნულ რეგულაციაზე დაყრდნობით, ევროკომისიამ შეიმუშავა 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულად ახალი ხილისა და ბოსტნეულის ზოგად და სპეციფიკურ მარკეტინგულ სტანდარტებს და ექსპორტ-იმპორტის პროცედურებს. აქედან გამომდინარე, ევროკომისიის ეს რეგულაცია, მესამე ქვეყნებიდან ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისთვის ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს.

ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის თანახმად, მარკეტინგული სტანდარტები მოიცავს ხილისა და ბოსტნეულის წარმოებისა და კომერციალიზაციის ყველა ეტაპს, იმპორტისა და ექსპორტის ჩათვლით. მარკეტინგული სტანდარტები მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის, პროდუქტის კლასისა და სახეობის შესახებ. ეს სტანდარტები განსაზღვრავენ პროდუქტის ხარისხს, კლასიფიკაციას, ზომას, შეფუთვას, დაფასობას, შენახვას, ტრანსპორტირებას, წარდგენას და ეტიკეტირებას. მესამე ქვეყნებიდან იმპორ-

1 მესამე ქვეყნებად იწოდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები. იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ (ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნები, ევროკავშირთან სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკავშირებული ქვეყნები და ა.შ.)

2 ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, ახალი ხილი და ბოსტნეული მიეკუთვნება საკვების იმ კატეგორიას, რომელიც მოიცავს: ახალ ხილს, ბოსტნეულს, მწვანილს, ყლორტებს, სოკოს და აგრეთვე მინიმალურად დამუშავებულ საკვებად გამზადებულ ხილსა და ბოსტნეულს. მინიმალურად დამუშავებაში იგულისხმება ხილისა და ბოსტნეულის გასუფთავება, დაჭრა, დანაწევრება, ან დაქუცმაცება მათ შეფუთვამდე.

ტირებისას, პროდუქტის სტანდარტებთან შესაბამისობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი საინსპექციო ორგანოების მიერ მოწმდება.

პროდუქტის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობა, პროდუქტის მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას მოწმდება, და მასზე ე.წ. შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა. ხსენებული სერტიფიკატი აუცილებელია, მესამე ქვეყნებიდან ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე შესატანად. ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგული სტანდარტები და მათთან შესაბამისობის შემოწმების პროცედურა წინამდებარე პუბლიკაციის მეორე თავშია აღწერილი. მესამე თავში კი მოცემულია სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ციტრუსებისთვის.

ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის, მარკეტინგულ სტანდარტებთან ერთად, აუცილებელია სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანისა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის კიდევ ერთი გარანტიაა. ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნები მოცემულია ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივაში. აღნიშნული დირექტივის თანახმად, მესამე ქვეყნებიდან ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას, საჭიროა მცენარის ჯანმრთელობის და ფიტოსანიტარული სერტიფიკატის წარდგენა. სერტიფიკატი გაცემული უნდა იქნას მესამე ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ და უნდა ადასტურებდეს, რომ საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია არ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ორგანიზმებს და არ არის მცენარეული დაავადებების მატარებელი. ამ საკითხის შესახებ ინფორმაცია პუბლიკაციის მეოთხე თავშია მოცემული.

ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამოწმებენ ამ პროდუქციის შესაბამისობას სურსათის ჰიგიენასა და სურსათის უვნებლობაზე ევროკავშირის ისეთ მოთხოვნებთან, როგორებიცაა საკვები დანამატების, პესტიციდების და დამაბინძურებლების არსებობა. ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანონმდებლობაზე დამოკიდებული, თუ სად ჩატარდება ამგვარი შემოწმება: საზღვრის გადაკვეთის ადგილზე, იმპორტიორის საწყობში თუ საცალო ვაჭრობის ქსელში. სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის მთავარ საკანონმდებლო აქტს ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2002 წლის 28 იანვრის No 178/2002 რეგულაცია წარმოადგენს. ამ რეგულაციის თანახმად, ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საკვები “უნდა შეეხამებოდეს სურსათის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს ან ამ მოთხოვნების ექვივალენტურად აღიარებულ პირობებს”. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნებიდან (მათ შორის საქართველოდან) იმპორტირებული საკვები უნდა შეეხამებოდეს იმავე სტანდარტებს, რაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვისაა დაწესებული. ევროკავშირის სურსათის უვნებლობის ზოგადი მოთხოვნები აღწერილია პუბლიკაციის მეხუთე თავში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ბაზარზე ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტისგან განსხვავებით, ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის წესები ნაკლებად მკაცრია. ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის, ევროკავშირისგან ექსპორტზე თანხმობის მიღება და მესამე ქვეყნის მეწარმის იმ საწარმოთა სიაში შეყვანა აუცილებელი, რომლებსაც აღნიშნული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის უფლება აქვთ. ეს წესი არ ვრცელდება ევროკავშირის ბაზარზე ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორებზე. თუმცა, ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორი ვალდებულია, უზრუნველყოს საქონლის შესაბამისობა ევროკავშირის სურსათის უვნებლობის ზოგად სტანდარტებთან და წარადგინოს ფიტოსანიტარული და მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატები.

## 2. ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგული სტანდარტები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაცია განსაზღვრავს ახალი ხილისა და ბოსტნეულის სექტორის ზოგად და სპეციფიკურ მარკეტინგულ სტანდარტებს. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი საღია, აკმაყოფილებს საბაზრო ხარისხს და მასზე მითითებულია წარმოშობის ქვეყანა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საინსპექციო ორგანოები<sup>3</sup> ასევე უზრუნველყოფენ იმპორტისთვის განკუთვნილი პროდუქციის ზოგად მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას და გაცემენ შესაბამისობის სერტიფიკატს, რაც აუცილებელია ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე შეტანისას.

ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის პირველი დანართის ნაწილი A ადგენს ახალი ხილისა და ბოსტნეულის ზოგად მარკეტინგულ სტანდარტებს, როგორებიცაა:

1. ხარისხის მინიმალური მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც პროდუქტი უნდა იყოს:
  - მთელი;
  - საღი (გამორიცხება პროდუქტი, რომელიც ღაბობის ან გაფუჭების სტადიაშია და მოხმარებისთვის უვარგისია);

<sup>3</sup> საინსპექციო ორგანო(ებ) - ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ განსაზღვრული საინსპექციო ორგანო(ებ), რომელიც პასუხისმგებელია ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებაზე, პროდუქციის თავისუფალ მოქცევაში გაშვებამდე.

- სუფთა (ყოველგვარი შესამწნევი უცხო ნივთიერების გარეშე);
  - მანებლების გარეშე;
  - მანებლების მიერ გამოწვეული დაზიანების გარეშე;
  - უჩვეულო გარეგანი სინოტივის გარეშე;
  - ყოველგვარი უცხო სუნის ან გემოს გარეშე;
  - ისეთ მდგომარეობაში, რომ გაუძლოს ტრანსპორტირებას და დანიშნულების ადგილამდე მიაღწიოს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში;
2. სიმწიფის მინიმალური მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც პროდუქტი უნდა იყოს დამაკმაყოფილებლად მწიფე. პროდუქტის სიმწიფის ხარისხი იმგვარი უნდა იყოს, რომ პროდუქტმა გააგრძელოს დამწიფება და სიმწიფის დამაკმაყოფილებელ დონეს მიაღწიოს;
3. ამ მოთხოვნებიდან გადაცდომა, რომლის მიხედვითაც ექსპორტირებული პროდუქციის თითოეულ ლოტში დასაშვებია პროდუქტის მთელი რაოდენობის მხოლოდ 10% ისეთი პროდუქტების არსებობა, რომლებიც არ აკმაყოფილებს ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებს. ხსენებული არ ვრცელდება პროდუქტზე, რომლებიც ლპობის სტადიაშია, ან გაფუჭებულია იმ დონეზე, რომ მოხმარებისთვის უვარგისია;
4. პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის აღნიშვნის მოთხოვნა, რომლის თანახმად პროდუქტზე გარკვევით და სრულად უნდა იყოს აღნიშნული პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა. წარმოშობის ქვეყანა, პროდუქტის დანიშნულების ქვეყნის მომხარებლისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს მითითებული.

ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის თანახმად, ხილისა და ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობა თავისუფალია ზოგადი მარკეტინგული სტანდარტების მოთხოვნისგან. ესენია:

- სოკოები, გარდა კულტივირებული სოკოსი (CN<sup>4</sup> code 0709 59)
- კაპარი (CN code 0709 90 40)
- მწარე ნუში (CN code 0802 11 10)
- ნაჭუჭიანი ნუში (CN code 0802 12)
- ნაჭუჭიანი თხილი (CN code 0802 22)
- ნაჭუჭიანი კაკალი (CN code 0802 32)
- მიწის თხილი (CN code 0802 90 50)
- ზაფრანა (CN code 0910 20)

4 CN – კომბინირებული ნომენკლატურა - ევროკავშირის საიმპორტო ტარიფის ერთიანი სტატისტიკური და სატარიფო ნომენკლატურა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ევროკავშირის-საქართველოს ბიზნეს საბჭოს 2008 წლის ბრძანება “ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დაბეგრის თავისებურებანი” [www.eugbc.net](http://www.eugbc.net).

ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის მიხედვით, სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები მიესადაგება შემდეგ პროდუქტებს და ინდივიდუალურია თითოეული მათგანისთვის:

1.	ვაშლი	6.	მსხალი
2.	ციტრუსები	7.	მარწყვი
3.	კივი	8.	ტკბილი წიწაკა
4.	სალათა	9.	სუფრის ყურძენი
5.	ატამი და ნექტარინი	10.	პომიდორი

ხილისა და ბოსტნეულის ზემოთ ჩამოთვლილი ათ სახეობას, ასევე მიესადაგება შეფუთვისა და ეტიკეტზე აღნიშვნების სპეციალური წესებიც. სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები თვითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტისთვის მოცემულია ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის პირველი დანართის B ნაწილში.

წინამდებარე პუბლიკაციის მომდევნო თავში, მაგალითის სახით, აღწერილია სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ციტრუსებისთვის.

სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტების მიხედვით, პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებს, პროდუქტის ზომის სპეციალურ მოთხოვნებს და უნდა იყოს ერთგვაროვანი. გარდა ამისა, თითოეული პროდუქტი, რომელიც სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტების მოთხოვნებს ექვემდებარება, სამი განსხვავებული ხარისხის კლასად იყოფა:

- ექსტრა კლასს მიეკუთვნება უმაღლესი ხარისხის პროდუქტი, რომელიც გარეგნულად ერთგვაროვანია, მხოლოდ ოდნავი ზედაპირული დეფექტებით;
- პირველი კლასის პროდუქტი არის კარგი ხარისხის, მხოლოდ მცირე დეფექტებით;
- მეორე კლასის პროდუქტი ნორმალური ხარისხის პროდუქტია, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს ერთი ან რამდენიმე დეფექტი.

ყველა სახის ახალი ხილი და ბოსტნეული, რომელსაც არ მიესადაგება სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები, უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ ზოგად მარკეტინგულ სტანდარტებს. თუ პროდუქტის რეალიზატორს შეუძლია დაამტკიცოს, რომ პროდუქტი შეესაბამება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)<sup>5</sup> მიერ დადგენილ მარკეტინგულ სტანდარტებს, უნდა ჩაითვალოს, რომ იგი აკმაყოფილებს ზოგად მარკეტინგულ სტანდარტებს.

5 United Nations Economic Commission for Europe (UNECE) – გაეროს ერთ-ერთი რეგიონული კომისიაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის, დსთ-ს და ჩრდილოეთ ამერიკის 56 ქვეყანას საქართველოს ჩათვლით. მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, UNECE წევრი ქვეყნები თანამშრომლობენ ეკონომიკურ საკითხებში და შეიმუშევენ საერთაშორისო ნორმებს, სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, მათ შორის ახალი ხილისა და ბოსტნეულის სექტორისთვის.

ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრამდე, უნდა მოხდეს მარკეტინგულ სტანდარტებთან მესამე ქვეყნებში წარმოებული ახალი ხილი და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამგვარი შემოწმება შეიძლება მოხდეს:

- საექსპორტო პროდუქციის მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე,
- ევროკავშირის წევრი ქვეყნების საბაჟო საწყოებში, ან
- საექსპორტო პროდუქციის წარმოშობის (მესამე) ქვეყანაში.

**ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე** ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას ევროკავშირის წევრი ქვეყნის საინსპექციის ორგანო ახორციელებს. ამგვარი შემოწმება უნდა მოხდეს შერჩევით, რისკების შეფასების საფუძველზე. რისკების შეფასების კრიტერიუმებია:

- მესამე ქვეყნის კომპეტენტური საინსპექციო ორგანოს მიერ გაცემული ისეთი შესაბამისობის სერტიფიკატის არსებობა, რომელის ექსპორტის განხორციელებამდე გაცემაც, მესამე ქვეყნის მოთხოვნის საფუძველზე, ევროკომისიის მიერ არის ნებადართული;
- პროდუქტის სახეობა, პროდუქტის წარმოების პერიოდი, პროდუქტის ფასი, შეფუთვის და ჩატვირთვის ოპერაციები, შენახვის პირობები, წარმოშობის ქვეყანა, ტრანსპორტირების საშუალება ან ტვირთის მოცულობა;
- ექსპორტიორის პოზიცია და რეპუტაცია ბაზარზე, მისი პროდუქციის მრავალფეროვნება, საქონლის წარმოშობის ადგილი ან შენახვის, დანარჩენების ან გაყიდვისას ჩატარებული სამუშაოები;
- წინა შემოწმების შედეგები ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას, აღმოჩენილი დეფექტების ტიპი და რაოდენობა, მოწოდებული პროდუქციის ხარისხი და გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობის დონე.

მესამე ქვეყნის ექსპორტიორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაბამისობის შემოწმების ასეთ გზას, ევროკავშირის შეზღუდული საინსპექციო რესურსების გამო, თან ახლავს საექსპორტო პროდუქციის ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის პუნქტებში დაყოვნების და შესაბამისად მისი ხარისხის დაკარგვის რისკი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნის საინსპექციო ორგანო, ევროკავშირში იმპორტის პუნქტში ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში გაცემს შესაბამისობის სერტიფიკატს, რომლის ფორმაც მოცემულია დანართში №1. საიმპორტო პროდუქციის რამოდენიმე ლოტის შემთხვევაში შეიძლება გაიცეს ერთი შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელშიც მკაფიოდაა მითითებული საიმპორტო პროდუქციის შესაბამისი ლოტები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე ინსპექციის გავლის შემდეგ, საბაჟო სამსახური ახალი ხილსა და ბოსტნეულს გაატარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთს ახლავს შესაბამისობის სერტიფიკატი ან ის საინსპექციო ორგანოსგან ინფორმირებულია, რომ მოცემულ ტვირთს ასეთი სერტიფიკატი მინიჭებული აქვს. შესაძლოა ევროკავშირის წევრი ქვეყნის საინსპექციო ორგანომ ჩათვალოს, რომ არ არსებობს პროდუქციის მარკეტინგულ სტანდარტებთან შეუსაბამობის რისკი და პროდუქციის შესაბამისი ლოტები არ შეამოწმოს. ასეთ შემთხვევაში, საინსპექციო ორგანო საბაჟო სამსახურს უგზავნის ბეჭედ-დასმულ დეკლარაციას ან ხსენებულის შესახებ აცნობებს სხვა ფორმით, რის საფუძველზეც საბაჟო სამსახურს შეუძლია გაატაროს პროდუქციის შესაბამისი ლოტები.

მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მაკოორდინირებული სამსახური ამის შესახებ აცნობებს ევროკომისიას და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების მაკოორდინირებულ სამსახურებს, რომლებიც ამ ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის მასშტაბით ავრცელებენ.

**ევროკავშირის წევრი ქვეყნების საბაჟო საწყობებში** ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ საქონლის ევროპელ იმპორტიორს შესაბამისი უფლება გააჩნია.

შესაბამისობის შემოწმების ასეთი გზა, რასაკვირველია, გამორიცხავს საქონლის შეყონებას ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის პუნქტებში, თუმცა მესამე ქვეყნის ექსპორტიორებს, შესაბამისი უფლების მქონე ევროპელ იმპორტიორებთან მოლაპარაკებებისას ნაკლებ “თავისუფლებას” უტოვებს.

**საექსპორტო პროდუქციის წარმოშობის (მესამე) ქვეყანაში** ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების უფლებას მესამე ქვეყანას ევროკომისია აძლევს. ამისათვის მესამე ქვეყანამ თხოვნით უნდა მიმართოს ევროკომისიას. შესაბამის ნებართვას ევროკომისია გასცემს იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი მესამე ქვეყნის საექსპორტო პროდუქცია აკმაყოფილებს ევროკავშირის მარკეტინგულ ან მის ანალოგიურ სტანდარტებს და თუ ევროკავშირის შესაბამის მესამე ქვეყანასთან ვაჭრობის კარგი გამოცდილება გააჩნია.

ექსპორტის განხორციელებამდე, წარმოშობის ქვეყანაში ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის პუნქტებში საქონლის შეყონების რისკი და მესამე ქვეყნის ექსპორტიორები უფრო თავისუფლები არიან

ევროპელი იმპორტიორების შერჩევისა და მათთან მოლაპარაკებებისას.

მესამე ქვეყნისთვის, მის ტერიტორიაზე ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, ევროკომისია ადგენს მესამე ქვეყნის ოფიციალურ სამსახურს, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებასა და სხენებულ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირთან კონტაქტზეც, ასევე მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ შესაბამისობის შემოწმებას. თანხმობა გაიცემა მხოლოდ შესაბამის მესამე ქვეყანაში წარმოშობილ პროდუქციაზე და შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ გარკვეული სახეობის პროდუქტებზე.

მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოები უნდა იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურები ან ოფიციალურად აღიარებული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. მათ უნდა გააჩნდეს მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად აუცილებელი გამოცდილება, კადრები და ტექნიკური საშუალებები. იმ ქვეყანათა ნუსხა, რომლებსაც ევროკომისიიდან მიღებული აქვთ მათ ტერიტორიაზე მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების თანხმობა, ევროკომისიის 2007 წლის 21 დეკემბრის No 1580/2007 რეგულაციის მე-4 დანართის A ნაწილშია მოყვანილი, ხოლო ამავე რეგულაციის მე-4 დანართის B ნაწილში მოცემულია ინფორმაცია ამ მესამე ქვეყნების პასუხისმგებელ ოფიციალურ სამსახურსა და საინსპექციო ორგანოების შესახებ. საგულისხმოა, რომ საქართველო არ არის იმ მესამე ქვეყანათა ჩამონათვალში, რომლებსაც ევროკომისიიდან მიღებული აქვთ მათ ტერიტორიაზე მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების თანხმობა.

მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოებმა. შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა გასცენ დანართში №1-ში მოცემული ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი, ან სხვა ფორმის სერტიფიკატი, რომელიც წინასწარ არის შეთანხმებული მესამე ქვეყანასა და ევროკავშირის შორის. საქსპორტო პროდუქციის რამოდენიმე ლოტის შემთხვევაში შეიძლება გაიცეს ერთი შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელშიც მკაფიოდაა მითითებული საიმპორტო პროდუქციის შესაბამისი ლოტები. შესაბამისობის სერტიფიკატი შევსებული უნდა იყოს ევროკავშირის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. სერტიფიკატზე აღინიშნება ექსპორტიორის სახელი, საინსპექციო ორგანო, ინსპექციის ადგილი, ტვირთის დანიშნულების ქვეყანა ან რეგიონი, ტვირთის ტრანსპორტირების საშუალება, შეფუთვების რაოდენობა, პროდუქტის ტიპი, სახეობა, კლასი, ტვირთის მთლიანი წონა, სერტიფიკატის მოქმედების ვადა, შემოწმების ადგილი და თარიღი, ინსპექტორის ხელმოწერა.

შესაბამისობის სერტიფიკატზე აღნიშნული უნდა იყოს სიტყვა “ორიგინალი”. დამატებითი ასლების საჭიროების შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს “ასლი”. ევროკავშირის წევრი ქვეყანა სერტიფიკატის მხოლოდ ორიგინალს ცნობს. სერტიფიკატი უნდა იყოს 210 x 297 მმ.

ზომის. დასაშვებია სერტიფიკატის სიგრძის გადაცდომა - 8 მმ-ით მეტი ან 5 მმ-ით ნაკლები. სერტიფიკატისთვის გამოიყენება მხოლოდ თეთრი ქაღალდი, რომლის წონაც არ უნდა იყოს 40 გ/მ<sup>2</sup>-ზე მცირე. დაუშვებელია სერტიფიკატში ტექსტის ამოშლა ან მასზე ზემოდან ახალი ტექსტის გადაწერა. ჩასწორების აუცილებლობის შემთხვევაში არასწორი ტექსტი უნდა გადაიხაზოს და მის ნაცვლად უნდა დაემატოს სწორი ტექსტი. ნებისმიერი ასეთი ჩასწორება სერტიფიკატში დამოწმებული უნდა იქნას სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ. თითოეულ სერტიფიკატს უნდა ჰქონდეს რიგითი ნომერი, მასზე უნდა იყოს დასმული კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ. სერტიფიკატის გამცემმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაიტოვოს სერტიფიკატის ასლი.

შესაბამისობის სერტიფიკატი შეიძლება ასევე გაცემული იქნას წინასწარ დამტკიცებულ ელექტრონულ ფორმატში, ელექტრონული ხელმოწერით.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე დამატებით ამოწმებენ ევროკავშირის ბაზარზე შესატანად განკუთვნილი ახალი ხილისა და ბოსტნეულის გარკვეულ ნაწილს, რათა მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოების მიერ გაცემულ შესაბამისობის სერტიფიკატში მოცემული ინფორმაციის სისწორეში დარწმუნდნენ. დამატებითი შემოწმებისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოსაკრებლის დაწესების უფლება აქვთ.

სერტიფიკატში მოცემული ინფორმაციის საექსპორტო პროდუქციასთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნის საინსპექციო ორგანო შესაბამისი მაკორდინირებელი სამსახურის<sup>6</sup> ინფორმირებას ახდენს. ეს სამსახური კი, თავის მხრივ, ინფორმაციას ევროკომისიას მიაწვდის.

თუ გაჩნდა ეჭვი, მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოების მიერ გაცემულ შესაბამისობის სერტიფიკატის აუთენტურობასთან ან მასში მოცემული ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ სამსახურს უფლება აქვს, საეჭვო სერტიფიკატის შემდგომი (დამატებითი) შემოწმება მოითხოვოს. ასეთ შემთხვევაში სერტიფიკატი ან მისი ასლი მესამე ქვეყნის შესაბამის უწყებაში იგზავნება და დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვება. ევროკომისია შეძლებისდაგვარად ოპერატიულად უნდა იქნას ინფორმირებული შესაბამისობის სერტიფიკატის შემდგომი შემოწმების მოთხოვნის და ამ შემოწმების შედეგების შესახებ.

შესაბამისობის სერტიფიკატის შემდგომი შემოწმების მოთხოვნის

<sup>6</sup> ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ განსაზღვრულია ერთი კომპეტენტური სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას და ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ევროკომისიისთვის (მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში – სურსათის სტანდარტების სააგენტო). მაკორდინირებელი სამსახური შეიძლება იყოს ასევე საინსპექციო ორგანო.

შემთხვევაში, შესაბამისი პროდუქციის იმპორტიორს უფლება აქვს ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ საინსპექციო ორგანოებს თხოვოს საიმპორტო პროდუქციის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე.

საექსპორტო პროდუქციის დანიშნულების ქვეყანაში შეტანის ნებართვა არ გაისცემა, თუ აღმოჩნდა, რომ ტვირტის დიდი ნაწილი არ შეესაბამება შესაბამისობის სერტიფიკატში მითითებულ ინფორმაციას, ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტური სამსახური მესამე ქვეყნიდან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს შესაბამისობის სერტიფიკატის შემდგომ შემოწმებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, პროდუქცია შეიძლება გატანილი იქნას ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, შეიძლება განადგურდეს საბაჟო სამსახურის თანხმობით, ან ექსპორტიორის მიერ შეიძლება მიღებული იქნას გადაწყვეტილება პროდუქციის მთლიანი მოცულობის ან მისი ნაწილის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. ევროკავშირის ბაზარზე შესაბამისობაში მოყვანილი პროდუქციის შესატანად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის საინსპექციო ორგანოებმა თავიდან უნდა ჩაატარონ შემოწმება და დადებითი რეზულტატის მიღების შემთხვევაში გასცენ შესაბამისობის სერტიფიკატი. ბუნებრივია, ზემოხსენებული პროცედურების ხარჯებს თავის თავზე ექსპორტიორი იღებს.

მესამე ქვეყნის შესაბამისმა პასუხისმგებელმა სამსახურმა ევროკომისიას დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ ბეჭდებისა და ხელმოწერების, ასევე მათში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რომლებსაც მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოები შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემისას გამოიყენებენ. მესამე ქვეყნიდან მიღებულ ინფორმაციას ევროკომისია დაუყოვნებლივ უგზავნის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაკორდინირებელ სტრუქტურებს, რომლებიც თავის მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი წევრი ქვეყნების საბაჟო სამსახურებს აყენებენ საქმის კურსში.

ევროკომისიას შეუძლია გააუქმოს მესამე ქვეყნისთვის, მის ტერიტორიაზე ახალი ხილის და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებაზე მიცემული თანხმობა თუ აღმოჩნდა, რომ საექსპორტო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეესაბამება მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოების მიერ გაცემულ შესაბამისობის სერტიფიკატში ასახულ პარამეტრებს, ან თუ მესამე ქვეყნის პასუხისმგებელი სამსახურიდან ვერ იქნა მიღებული დამაკმაყოფილებელი რეაგირება ევროკომისიიდან გაგზავნილ მოთხოვნაზე, სერტიფიკატის შემდგომ შემოწმებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაკორდინირებელმა სამსახურებმა ყოველკვარტალურად უნდა მიაწოდოს ევროკომისიას, შესაბამისი მესამე ქვეყნების და ამ ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქციის შესახებ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა:

- იმპორტის მთლიანი მოცულობა;
- ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე შემოწმებული პროდუქციის რაოდენობა;
- იმ პროდუქციის რაოდენობა, რომელიც არ შეესაბამებოდა მესამე ქვეყნის საინსპექციო ორგანოების მიერ გაცემულ შესაბამისობის სერტიფიკატის მონაცემებს.

**შემდგომი გადამუშავების მიზნით**, მესამე ქვეყნიდან ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირში ექსპორტისას, კომპეტენტურმა საინსპექციო ორგანოებმა უნდა გასცენ სამრეწველო გამოყენების სერტიფიკატი (იხ. დანართი No 2). ასეთ შემთხვევაში პროდუქციის შეფუთვაზე აუცილებლად უნდა იყოს ეტიკეტი, რომელზეც მკაფიოდ იქნება მითითებული: “გამიზნულია გადამუშავებისთვის”. ევროკავშირის წევრი ქვეყნის საინსპექციო ორგანო სამრეწველო გამოყენების სერტიფიკატის ასლს უგზავნის შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოს, რომელმაც საინსპექციო ორგანოს უნდა დაუდასტუროს ახალი ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების პროცესი.

ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის დანართი No 1-ის B ნაწილი ადგენს ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვის წესებს, რომლებზეც სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ვრცელდება და რომელთა დაცვა აუცილებელია პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის. ახალი ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვის წესების მიხედვით:

- პროდუქტის თითოეული შეფუთვა უნდა იყოს გამძლე;
- შესაფუთად გამოყენებული მასალა უნდა იყოს ახალი, სუფთა და ისეთი ხარისხის, რაც არ დააზიანებს პროდუქტს;
- შეფუთვაზე შესაბამისი აღნიშვნების დასატანად დასაშვებია ეტიკეტის ან ბეჭდის გამოყენება;
- ეტიკეტი და ბეჭედი უნდა იყოს დამზადებული არატოქსიკური მელნისა და წებოსგან;
- შეფუთვა დაცული უნდა იყოს უცხო ნივთიერებებისგან;
- პროდუქტზე მიწებებული ინდივიდუალური სტიკერები არ უნდა ტოვებდეს წებოს კვალს და არ უნდა აზიანებდეს კვების პროდუქტის ზედაპირს.

სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტების მიხედვით, თითოეულ შეფუთვაზე გარკვევით, მოუშორებელი შრიფტით უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი ინფორმაცია:

- ექსპორტიორის სახელი და მისამართი, რაც შეიძლება კოდური აღნიშვნით (შტრიხ-კოდით) შეიცვალოს;
- პროდუქტის სახელი, ნაირსახეობა;
- წარმოშობის ქვეყანა;
- პროდუქტის კლასი და ზომა (იხ. შემდეგ თავში);
- კონტროლის ოფიციალური აღნიშვნა (არასავალდებულო);

გადამუშავებისთვის განკუთვნილი ხილისა და ბოსტნეულის ტვირთზე მითითებული უნდა იყოს “განკუთვნილია გადამუშავებისთვის”. ასეთ ტვირთს ევროკავშირის წევრი ქვეყანა ათავისუფლებს სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტების დაცვის მოთხოვნისგან.

5 კგ-ზე ნაკლები წონის სხვადასხვა სახეობის (შერეული) ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვა, უნდა შეიცავდეს ერთგვაროვანი ხარისხის პროდუქტებს. ასეთ შეფუთვაში შემავალი თითოეული დასახელების პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მარკეტინგულ სტანდარტებს. შეფუთვას უნდა ახლდეს სათანადო ეტიკეტი. თუ შეფუთვაში შემავალი პროდუქტების წარმომობის ქვეყანა ერთზე მეტია ეს მითითებული უნდა იყოს ეტიკეტზე შემდეგნაირად:

- ა) “ევროკავშირში წარმომობილი ხილისა და ბოსტნეულის ნარევი” ან
- ბ) “ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ წარმომობილი ხილისა და ბოსტნეულის ნარევი” ან
- გ) “ევროკავშირისა და მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე წარმომობილი ხილისა და ბოსტნეულის ნარევი”.

### 3. სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ციტრუსებისთვის

სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები, წინამდებარე პუბლიკაციაში, ციტრუსების მაგალითზე იქნება განხილული. სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ციტრუსებისთვის ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაციის დანართი No 1-ის B ნაწილშია მოცემულია. ეს სტანდარტები ეხება ციტრუსს, რომელიც ნატურალური (გადამუშავებულ) სახით მიეწოდება მომხმარებელს. ციტრუსებს მიეკუთვნება:

- სხვადასხვა სახეობის ლიმონი,
- სხვადასხვა სახეობის მანდარინი, მათ შორის კლემენტინი, მანდარინი უნშიუ და სხვა,
- სხვადასხვა სახეობის ფორთოხალი.

სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები ყველა სახის ციტრუსისთვის შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

1. **ხარისხის მინიმალური მოთხოვნები**, რომლის მიხედვით ყველა კლასის ციტრუსი უნდა იყოს:
  - მთელი;
  - დაუშუქავი;
  - საღი (გამორიცხება პროდუქტი, რომელიც ლპობის ან გაფუჭების სტადიაშია და მოხმარებისთვის უვარგისია);

- სუფთა (ყოველგვარი შესამჩნევი უცხო ნივთიერების გარეშე);
- მანუალების გარეშე;
- მანუალების მიერ გამოწვეული დაზიანების გარეშე;
- არ უნდა იყოს გამომშრალი;
- ყინვის ან დაბალი ტემპერატურისგან დაუზიანებელი;
- უჩვეულო გარეგანი სინოტივის გარეშე;
- ყოველგვარი უცხო სუნის ან გემოს გარეშე;
- ციტრუსი ფრთხილად უნდა იყოს მოკრეფილი და უნდა იყოს დამაკმაყოფილებლად მწიფე, ციტრუსის სახეობების ცალკეული კრიტერიუმების, მოკრეფის დროისა და ციტრუსის მოყვანის ადგილის გათვალისწინებით;
- ციტრუსის სიმწიფის ხარისხი ისეთი უნდა იყოს, რომ ტრანსპორტირებას გაუძლოს და დანიშნულების ადგილამდე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მიაღწიოს;

**2. სიმწიფის მოთხოვნების თანახმად, ციტრუსის სიმწიფის ხარისხი განისაზღვრება თითოეული სახეობისთვის დაწესებული შემდეგი პარამეტრებით:**

- მინიმალური წვნიანობა და
- შეფერილობა, რომლის მიხედვითაც ციტრუსმა, ნორმალური დამწიფების პირობებში, სახეობისთვის ტიპური ფერი ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიიღოს.

ლიმონი - მინიმალური წვნიანობა პირველი და ბოლო მოსავლისთვის (ვერდელისა და პრიმოფიორესთვის) 20%-ია, დანარჩენი მოსავლებისთვის კი 25% უნდა იყოს. ლიმონის შეფერილობა უნდა იყოს სახეობისთვის ტიპური, თუმცა დასაშვებია მწვანე ფერის (არა მუქი მწვანე) ლიმონიც, თუ ის აკმაყოფილებს წვნიანობის მოთხოვნებს.

მანდარინი – მინიმალური წვნიანობა მანდარინისთვის გარდა კლემენტინისა - 33%-ია, ხოლო კლემენტინისთვის 40% უნდა იყოს. მანდარინის ზედაპირის სულ მცირე ერთი მესამედი უნდა იყოს შეფერილი სახეობისთვის დამახასიათებელი ფერით.

ფორთოხალი - წვნიანობა წითელხორციანი ფორთოხლისთვის - 30%-ია, ნაკვლის ჯგუფის ფორთოხლისთვის - 33%, ხოლო სხვა სახეობის ფორთოხლისთვის - 35% უნდა იყოს. შეფერილობა სახეობისთვის ტიპური უნდა იყოს. დასაშვებია ღია მწვანე ფერის ფორთოხალიც, თუ ღია მწვანე შეფერილობა ციტრუსის ზედაპირის ერთ მეხუთედს არ აღემატება. ამავე დროს, თუ ფორთოხალი მოყვანილია ისეთ ადგილებში, სადაც ჰაერის მაღალი ტემპერატურა და ტენიანობაა, დასაშვებია, რომ მწვანე შეფერილობა ციტრუსის ზედაპირის ერთ მეხუთედს აღემატებოდეს, თუ ის აკმაყოფი-

ლებს წვნიანობის შემდგომ მინიმალურ მნოთხოვნებს:

- მოსამბი, სათვუდი და პაციტანი სახეობებისათვის - 33%;
- ყველა სხვა სახეობებისათვის - 45%.

**3. კლასიფიკაციის მიხედვით ციტრუსები იყოფა სამ კლასად:**

- “ექსტრა კლასს” მიეკუთვნება უმაღლესი ხარისხის პროდუქტი. ამ კლასის ციტრუსის ფორმა, გარეგნული სახე, სიმწიფე და შეფერილობა უნდა იყოს ტიპური ციტრუსის კონკრეტული სახეობისა და კომერციული კატეგორიისთვის. ციტრუსს, რომელიც ექსტრა კლასს მიეკუთვნება, არ უნდა ჰქონდეს დეფექტები. დასაშვებია მხოლოდ ოდნავი ზედაპირული დეფექტების არსებობა, თუ ისინი გარეგნულად თითქმის შეუმჩნეველია და პროდუქტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს;
- “პირველი კლასის” ციტრუსი არის კარგი ხარისხის პროდუქტი, რომელიც ტიპურია ციტრუსის კონკრეტული სახეობისა და კომერციული კატეგორიისთვის. დასაშვებია მხოლოდ მცირე სახის დეფექტების არსებობა, თუ ეს პროდუქტის გარეგნულ სახეზე და ხარისხზე გავლენას არ ახდენს. ამგვარი დეფექტებია:
  - ფორმის მცირე დეფექტი;
  - შეფერილობის მცირე წუნი;
  - პროდუქტის კანის მცირე დეფექტები, რომლებიც პროდუქტის ზრდის პროცესს სდევს თან, მაგალითად ნაწიბურები;
  - მცირე დაჟეჟილობა, რაც გამოწვეულია სექციისგან, შეფუთვისგან და ა.შ.;
- “მეორე კლასის” პროდუქტი ნორმალური ხარისხის პროდუქტია, რომელსაც ვერ მივაკუთვნებთ ციტრუსის უფრო მაღალ კლასს, მაგრამ ზემოთ მოყვანილ მინიმალურ მნოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამ კლასის ციტრუსს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული დეფექტები, კერძოდ:
  - ფორმის დეფექტი;
  - შეფერილობის წუნი;
  - უხეში კანი;
  - პროდუქტის კანის დეფექტები, რომლებიც პროდუქტის ზრდის პროცესს ახლავს, მაგალითად ნაწიბურები;
  - დაჟეჟილობა, გამოწვეულია სექციისგან, შეფუთვისგან და ა.შ.
  - კანის ზედაპირული დაზიანებები;
  - ფორთოხლის პერიკარპის ოდნავი დაშორება.

**4. ზომის მინიმალური მნოთხოვნების თანახმად, ციტრუსის მინიმალური დიამეტრი უნდა იყოს:**

- ლიმონისთვის – 45 მმ.;
- მანდარინისთვის, გარდა კლემენტინისა – 45 მმ.;

- კლემენტინისთვის – 35 მმ;
  - ფორთოხლისთვის – 53 მმ..
5. **ზომის ერთგვაროვნების მოთხოვნების** თანახმად, შეფუთვაში მოთავსებული ციტრუსი თანაბარი ზომის უნდა იყოს და ზომათა ქვემოთ მოცემული გრადაციის ფარგლებში უნდა ექცეოდეს:

ფორთოხალი		ლიმონი		მანდარინი	
ზომის კოდი	დიამეტრი (მმ)	ზომის კოდი	დიამეტრი (მმ)	ზომის კოდი	დიამეტრი (მმ)
0	92-110	0	79-90	1-XXX	78 და მეტი
1	87-100	1	72-83	1-XX	67-78
2	84-96	2	68-78	1 ან 1-X	63-74
3	81-92	3	63-72	2	58-69
4	77-88	4	58-67	3	54-64
5	73-84	5	53-62	4	50-60
6	70-80	6	48-57	5	46-56
7	67-76	7	45-52	6 (*)	43-52
8	64-73			7	41-48
9	62-70			8	39-46
10	60-68			9	37-44
11	58-66			10	35-42
12	56-63				
13	53-60				

\* 45 მმ-ზე ნაკლები ზომა მხოლოდ კლემენტინს ეხება

დასაშვებია ციტრუსის ზომის ერთგვაროვნების მოთხოვნიდან მცირედი გადაცდომა, რაც ციტრუსის დაფასოების მეთოდზეა დამოკიდებული:

- თუ ციტრუსი თვლითაა დაფასოებული, ციტრუსის ზომა შეიძლება ექცეოდეს ორი მომიჯნავე ზომის კოდის ფარგლებში;
- ფენებზე დაფასოებული ციტრუსის შემთხვევაში, შეფუთვაში, ერთი და იგივე ზომის კოდის მქონე ყველაზე პატარა და დიდი

ციტრუსი არ უნდა სცდებოდეს ქვემოთ მოყვანილ ზომებს (ეს წესი ვრცელდება თვლით ჩაწყობილ ციტრუსზეც, რომელიც ორი მომიჯნავე ზომის კოდის ფარგლებში ექცევა):

ციტრუსის სახეობა	ზომის კოდი	ერთ შეფუთვაში ჩაწყობილ ციტრუსებს შორის დასაშვები განსხვავება ზომაში (მმ)
ლიმონი	0-დან 7-მდე	7
მანდარინი	1-XXX-4	9
	5-დან 6-მდე	8
	7-დან 10-მდე	7
ფორთოხალი	0-დან 2-მდე	11
	3-დან 6-მდე	9
	7-დან 13-მდე	7

- თუ ციტრუსი არ არის დაფასოებული ფენებად ან გასაყიდად გამზადებულ ყუთებში, მაშინ შეფუთვაში ყველაზე პატარა და დიდი ციტრუსი არ უნდა სცდებოდეს ციტრუსის შესაბამის ზომათა გრადაციას;
- გასაყიდად გამზადებულ დრეკად შეფუთვაში მოთავსებული ყველაზე პატარა და დიდი ციტრუსი არ უნდა სცდებოდეს სამი მომიჯნავე კოდის ფარგლებს.

**6. ხარისხის მოთხოვნებისგან გადაცდომის თანახმად:**

- “ექსტრა კლასში” დასაშვებია 5% ისეთი ციტრუსისა, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კლასის მოთხოვნებს, მაგრამ შეესაბამება “პირველი კლასის” მოთხოვნებს. გამონაკლის შემთხვევებში (იხ. ქვემოთ), ასევე მისაღებია ისეთი პროდუქტები, რომლებიც “პირველი კლასის” გადაცდომის ფარგლებში ხვდება;
- “პირველ კლასში” დასაშვებია 10% ისეთი ციტრუსისა, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კლასის მოთხოვნებს, მაგრამ შეესაბამება “მეორე კლასის” მოთხოვნებს, ან ხვდება “მეორე კლასის” გადაცდომის ფარგლებში;
- “მეორე კლასში” დასაშვებია 10% ისეთი ციტრუსისა, რომელიც არ აკმაყოფილებს არც ამ კლასის მოთხოვნებს და არც მინიმალურ მოთხოვნებს. ეს წესი არ ვრცელდება ისეთ ციტრუსზე, რომელიც ღვობის სტადიაშია ან იმ დონეზეა დაზიანებული, რომ მოხმარებისთვის უვარგისია. ამ კლასში ასევე დასაშვებია 5% ისეთი ციტრუსისა, რომელსაც აღენიშნება ზედაპირული დაზიანება, დამსკლარი ან გამომშრალია.



- 9. შეფუთვის აღნიშვნის მოთხოვნების** თანახმად, ციტრუსის თითოეულ ყუთზე დატანილ უნდა იქნას:
- შემფუთავის და/ან მიმწოდებლის სახელი და მისამართი. ეს შეიძლება შეიცვალოს შტრიხკოდით;
  - ციტრუსის სახელი, სახეობა, ტიპი. ლიმონის შემთხვევაში, სადაც საჭიროა უნდა აღინიშნოს “ვერდელი” და “პრომოფიორე”. კლემენტინის შემთხვევაში, სადაც საჭიროა უნდა აღინიშნოს “უკურკო კლემენტინი” ან “კურკიანი კლემენტინი”;
  - ციტრუსის წარმოშობის ქვეყანა. შესაძლებლობის შემთხვევაში რეგიონის მითითებით;
  - კომერციული მონაცემები: კლასი, ციტრუსის ზომის კოდი, გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები (ასეთის გამოყენების შემთხვევაში);
  - კონტროლის ოფიციალური აღნიშვნა (არასავალდებულო).

#### **4. ჯანმრთელობის და ფიტოსანიტარული მოთხოვნები მცენარეებსა და მცენარეულ პროდუქტებსა და მცენარეულ პროდუქტებზე**

ჯანმრთელობის და ფიტოსანიტარული მოთხოვნები მცენარეებსა და მცენარეულ პროდუქტებზე მოცემულია ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივაში. ფიტოსანიტარული მოთხოვნები ვრცელდება ახალ ხილსა და ბოსტნეულზეც და მათი დაცვა აუცილებელია მესამე ქვეყნებიდან ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას. აღნიშნული დირექტივის თანახმად, ზოგიერთ მცენარესა და მცენარეულ პროდუქტს, მათ შორის ზოგიერთ ახალ ხილსა და ბოსტნეულს, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას უნდა ახდეს მესამე ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ გაცემული „ფიტოსანიტარული სერტიფიკატი“ ან „ფიტოსანიტარული სერტიფიკატი რე-ექსპორტისათვის“ (ევროკავშირის ფიტოსანიტარული სერტიფიკატების ფორმები მოცემულია დანართში No 3).

ევროკომისია უფლებამოსილია, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის განკუთვნილ პროდუქციასთან დაკავშირებით, მესამე ქვეყნებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია ამ ქვეყნებში მოქმედი სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობის, კონტროლის მექანიზმებისა და რისკების შეფასების შესახებ. ამ მიზნით, ევროკომისია, ჩვეულებრივ, უკავშირდება ევროკავშირში შესაბამისი მესამე ქვეყნის წარმომადგენლობას და მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უშუალოდ მესამე ქვეყნის შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებს მიმართავს.

იმ მცენარეების, მცენარეული პროდუქტების და მათი ორგანიზმების სხვა პოტენციური მატარებლების ჩამონათვალი, რომელთაც ფიტოსანი-

ტარული სერტიფიკატი სჭირდებათ, მოცემულია ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივის მეხუთე დანართში. საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტორს, ფიტოსანიტარული სერტიფიკატი შემდეგი მცენარეების და მცენარეული პროდუქტების ექსპორტისას სჭირდება:

- ციტრუსის (*Citrus L.*), იაპონური ზღმარტლის (*Fortunella Swingle*), ტრიფოლიატას (*Poncirus Raf*) სახეობებისა და მათი ჰიბრიდებისგან მიღებული ხილი ფოთლებით და ყუნწებით;
- ოხრახუშის (*Apium graveolens L.*) და რეჰანის (*Ocimum L.*) სახეობების მწვანელი;
- ციტრუსის (*Citrus L.*), იაპონური ზღმარტლის (*Fortunella Swingle*), ტრიფოლიატას (*Poncirus Raf*) და მათი ჰიბრიდების, ასევე ინდური კიტრის (*Momordica L.*) და ბადრიჯნის (*Solanum melongena L.*) სახეობების ნაყოფები;
- ანონას [პაუ-პაუს] (*Annona L.*), კომშის (*Cydonia Mill.*), აღმოსავლეთის ხურმის (*Diospyros L.*), ვაშლის (*Malus Mill.*), მანგოს (*Mangifera L.*), პასიფლორას [გრენადილი] (*Passiflora L.*), ქლიავის (*Prunus L.*), გუავას (*Psidium L.*), მსხლის (*Pyrus L.*), მოცხარის (*Ribes L.*), მიხაკის ხის (*Syzygium Gaertn.*) და მოცვის (*Vaccinium L.*), სახეობების ხილი, რომელიც მოყვანილია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ;
- ბარდის (*Dolichos Jacq.*), მაგნიფერას (*Magnifera spp.*), ჭარხლის (*Beta vulgaris L*) და ლობიოს (*Phaseolus vulgaris*) სახეობების მარცვლები;
- ბამბის (*Gossypium spp*) სახეობების მარცვლები და ბამბა;
- ვაზის (*Vitis L.*) სახეობებიდან მიღებული ყურძენი.

ფიტოსანიტარული სერტიფიკატი უნდა ადასტურებდეს, რომ მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქცია არ არის ევროკავშირის მიერ აკრძალული მავნებლების და მცენარეული დაავადებების მატარებელი. მავნებლების და მცენარეული დაავადებების ჩამონათვალი, რომელთა ევროკავშირის ტერიტორიაზე შეტანა და გავრცელება აკრძალულია, ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივის პირველ და მეორე დანართებშია მოცემული.

ფიტოსანიტარულ სერტიფიკატს გასცემს მესამე ქვეყნის სამსახური, რომელსაც ფიტოსანიტარული სერტიფიკატის გაცემის უფლებამოსილება ეროვნული კანონმდებლობით და მცენარის დაცვის საერთაშორისო კონვენციის<sup>7</sup> დებულებების შესაბამისად აქვს მინიჭებული. ფიტოსანიტარული სერტიფიკატი ევროკავშირის მიერ, მცენარის დაცვის საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე შემუშავებულ ფორმას უნდა შეესაბამებოდეს.

7 მცენარის დაცვის საერთაშორისო კონვენცია - სერთაშორისო ხელშეკრულება მცენარეთა ჯანმრთელობის შესახებ. ხელშეკრულება 1952 წლიდან არსებობს და უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვის მავნებლების წარმოქმნისა და გავრცელებისგან. ხსენებულ კონვენციას საქართველო 2007 წელს შეუერთდა.

ფიტოსანიტარული სერტიფიკატი ევროკავშირის რომელიმე ოფიციალურ ენაზე უნდა იყოს შედგენილი და უნდა გაიცეს საექსპორტო პროდუქციის მესამე ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე არაუმეტეს 14 დღით ადრე.

ევროკავშირის ფიტოსანიტარული მოთხოვნებისგან მესამე ქვეყნის ექსპორტიორი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მცენარეთას და/ან მცენარეული პროდუქტების ევროკავშირის ტერიტორიაზე შეტანას არ ახლავს მანვე ორგანიზმების გავრცელების საშიშროება. კერძოდ, თუ:

- მცენარეები და/ან მცენარეული პროდუქტები მხოლოდ გადაკვეთენ ევროკავშირის ტერიტორიას;
- მცენარეების და/ან მცენარეული პროდუქტების მხოლოდ მცირე რაოდენობის ექსპორტი ხდება არასაწარმოო ან არაკომერციული დანიშნულებით;
- მცენარეების და/ან მცენარეული პროდუქტების ექსპორტი ხდება სამეცნიერო დანიშნულებით ან მცენარის სახეობათა შესარჩევი სამუშაოსთვის;
- ექსპორტისთვის განკუთვნილი მცენარეები და/ან მცენარეული პროდუქტები მოყვანილია მესამე ქვეყნისა და ევროკავშირის უშუალო სასაზღვრო ზონაში.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის განკუთვნილი ახალი ხილისა და ბოსტნეულის შესაბამისობა ევროკავშირის ფიტოსანიტარულ მოთხოვნებთან მოწმდება ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე. ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივა ითვალისწინებს მცენარის და მცენარეული პროდუქტის დოკუმენტურ, საიდენტიფიკაციო და მცენარის ჯანმრთელობის ლაბორატორიულ შემოწმებას. დოკუმენტური შემოწმება გულისხმობს ტვირთის თანმხლები ფიტოსანიტარული სერტიფიკატის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა სერტიფიკატი ევროკავშირის სტანდარტებს. ტვირთის იდენტიფიცირებით დასტურდება, შეესაბამება თუ არა ტვირთი სერტიფიკატში მითითებულ მცენარეებს ან მცენარეულ პროდუქტებს. ასევე აუცილებლად ხდება ტვირთის ნაწილის ან მთლიანი ტვირთის ევროკავშირის ბაზარზე შეტანის ადგილზე ფიზიკური შემოწმებაც, რაც მცენარის ჯანმრთელობის დასადგენად სინჯების აღებას გულისხმობს.

მცენარის და მცენარეული პროდუქტის დოკუმენტურ, საიდენტიფიკაციო და ჯანმრთელობის ფიზიკურ შემოწმებას ევროკავშირში შესვლის ადგილზე ახორციელებს ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტური უწყება ან საბაჟო სამსახური. კომპეტენტური უწყება შეიძლება იყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის მცენარის დაცვის ორგანიზაცია(ები), ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურა. საიდენტიფიკაციო და მცენარის ჯანმრთელობის შემოწმება, გარდა ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილისა, ასევე შეიძლება განხორციელდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტური უწყებისა და საბაჟო სამსახურის მიერ განსაზღვრულ რომელიმე სხვა ადგილზე, რომელიც საზღვართან ახლოსაა განლაგებული.

ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილი შეიძლება იყოს აეროპორტი, საზღვაო პორტი, რკინიგზის და საავტომობილო სასაზღვრო პუნქტი. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროკომისიას, როგორც წესი, წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მათი საზღვრის გადაკვეთის პუნქტების ადგილმდებარეობის შესახებ.

ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივის მეხუთე დანართის B ნაწილში ჩამოთვლილი მცენარეების და მცენარეული პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოთხოვნით იმპორტიორი ევროკავშირის შესაბამის ქვეყანაში უნდა იყოს რეგისტრირებული. შესაბამისად, მესამე ქვეყნის ექსპორტიორმა ევროკავშირის საბაზრე უნდა წარადგინოს იმპორტიორის (მცენარეების და/ან მცენარეული პროდუქტების მყიდველის) ევროკავშირის წევრ ქვეყანაში რეგისტრაციის ნომერი.

მაწველების და მცენარეული დაავადებების აღმოჩენის შემთხვევაში, იმპორტიორი, მესამე ქვეყნის მომწოდებელს მოსთხოვს დამატებით ინფორმაციას, პროდუქციის პირველადი წარმოების და მოსავლის აღების შემდგომ პროდუქციის მოვლის შესახებ. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის განკუთვნილი მესამე ქვეყანაში წარმოებული ახალი ხილი და ბოსტნეული არ აკმაყოფილებს ევროკავშირის ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს, ტვირთი ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება. იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტისთვის განკუთვნილი ახალი ხილი და ბოსტნეული ჯანმრთელობისთვის დიდი საფრთხის შემცველია, ტვირთი ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ადგილზევე განადგურდება, ტვირთი განადგურების ხარჯები კი ექსპორტიორს დაეკისრება.

მცენარეების და მცენარეული პროდუქტების, მათ შორის ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, ფიტოსანიტარული სერტიფიკატი შეიცვლება მცენარის პასპორტით. მცენარის პასპორტი არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ეტიკეტი, რომელიც პროდუქციის ევროკავშირის მცენარის ჯანმრთელობის სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს. ხსენებული დოკუმენტი აუცილებელია მცენარეების და მცენარეული პროდუქტების ევროკავშირის ბაზრის შიგნით გადასაადგილებლად.

ევროკომისიის 2004 წლის 11 ოქტომბრის No 1756/2004 რეგულაციის მიხედვით, მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული იმ მცენარეების და მცენარეული პროდუქტების ჯანმრთელობა, რომელთაც ევროკავშირის ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილება მოეთხოვებათ, შესაძლოა გამარტივებული წესითაც შემოწმდეს. ამისათვის, ევროკავშირის წევრი ქვეყანა თხოვნით მიმართავს ევროკომისიას, იმპორტირებული ტვირთის გამარტივებული წესით შემოწმების შესახებ. ევროკომისია ამგვარ გადაწყვეტილებას დებულობს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- თუ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად,

ევროკავშირის ბაზარზე, მოცემული მცენარის ან მცენარეული პროდუქტის საშუალოდ 200 პარტიის იმპორტი ხდება;

- თუ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოცემული მცენარის და მცენარეული პროდუქტის სულ მცირე 600 პარტიის ინსპექცია განხორციელდა;
- თუ პროდუქციის პარტიების რაოდენობა, რომელშიც მანუებლები აღმოჩნდა, მთელი წლის განმავლობაში იმპორტირებული მოცემული მცენარის და მცენარეული პროდუქტის მთლიანი რაოდენობის 1%-ზე ნაკლებს შეადგენს;

აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, ევროკომისია აქვეყნებს იმ მცენარეთა და მცენარეულ პროდუქტთა სიას, რომელთა ჯანმრთელობის დასადგენად ტვირთის მხოლოდ გარკვეული ნაწილის შემოწმებაც საკმარისია. ევროკომისია განაახლებს ამგვარ სიას, პერიოდული შეფასებებისა და დარღვევების შესახებ მიღებული შეტყობინებების საფუძველზე. ამჟამად, მცენარის ჯანმრთელობის გამარტივებული შემოწმებისთვის რეკომენდირებულია 52 მცენარე და მცენარეული პროდუქტი, მათ შორის თურქეთიდან ექსპორტირებული ციტრუსებიც.

ევროკომისიის 2004 წლის 7 ოქტომბრის No 2004/103 დირექტივა ასევე ითვალისწინებს მცენარის ჯანმრთელობის შემოწმების შესაძლებლობას ტვირთის “დანიშნულების ადგილზე”, ინსპექციის უკეთ ჩატარების მიზნით. ამგვარი შემოწმება ხორციელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტური უწყების თანხმობით, რასაც ექსპორტიორი წინასწარ მოიპოვებს შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ექსპორტირებული პროდუქცია და/ან პროდუქციის გადასატანად გამოყენებული ტრანსპორტი კარგადაა დალუქული და გამორიცხულია ინფექციის გავრცელების საშიშროება პროდუქციის დანიშნულების ადგილზე გადატანისას;
- ტვირთი გადატანილი უნდა იქნეს ევროკავშირის კომპეტენტურ უწყებასთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე;
- ტვირთს უნდა ახლდეს “მცენარის ჯანმრთელობის გადაადგილების დოკუმენტი”, რომელსაც ექსპორტიორი ავსებს ევროკავშირის რომელიმე ოფიციალურ ენაზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტური უწყების წარმომადგენლის ხელამხედველობის ქვეშ. “მცენარის ჯანმრთელობის გადაადგილების დოკუმენტის” ნიმუში მოცემულია დანართში №3.

პროდუქცია გადატანილი უნდა იქნეს “მცენარის ჯანმრთელობის გადაადგილების დოკუმენტზე” მითითებულ ადგილზე. სათანადო ინსპექციის შემდეგ მოხდება აღნიშნული დოკუმენტის დამოწმება, რომელსაც ექსპორტიორი საბაჟო სამსახურს წარუდგენს საბაჟო პროცედურების ოფიციალურად გასაფორმებლად.

მცენარის დაცვის საერთაშორისო კონვენციაზე დაყრდნობით, ევროკავშირმა შეიმუშავა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კიდევ ერთ ფიტოსანიტარულ მოთხოვნას - ვაჭრობის დროს შესაფუთად ხის მასა-

ლის გამოყენებას, რასაც შეიძლება ახლდეს ევროკავშირში მანებლების შეტანისა და გავრცელების საშიშროება. ხისგან დამზადებული ყუთი, დოლი, ჩასატვირთი ფიცარი, რომლის ზომაც სიგანეში 6 მმ-ზე მეტია, ევროკავშირში დაიშვება თუ:

- თერმულადაა დამუშავებული 56°C-ზე 30 წუთის განმავლობაში ან ფუმიგირებულია (დეზინფიცირებულია) მეთილ-ბრომიდით;
- ხის ყუთს აქვს ISPM15<sup>8</sup> ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მცენარის დაცვის საერთაშორისო კონვენციის ლოგო, წარმოშობის ქვეყნის აბრევიატურა, მწარმოებელი და ხის მასალის დამუშავების ტიპი.

აღნიშნული მოთხოვნები არ მოქმედებს შესაფუთად გამოყენებულ ისეთ ხის მასალაზე, რომელიც წებოს, გაცხელებისა და წნევის გამოყენებითაა დამუშავებული, მაგალითად ფირფიცარი. ევროკავშირის ინსპექტორები შემოწმებისას ISPM15 ბეჭედს შეამოწმებენ ექსპორტისთვის განკუთვნილ ხის მასალით შეფუთულ ტვირთზე. სხვა სახის სერტიფიკატი ხის მასალისგან დამზადებული ტვირთის ევროკავშირში შეტანისას საჭირო არ არის.

ISPM15 ბეჭდის გამოყენების ნებართვას გასცემს მესამე ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო უწყება და ის ასე გამოიყურება:

## 5. ევროკავშირის მოთხოვნები სურსათის უვნებლობასა და ჰიგიენაზე

ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირმა, სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესახებ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები შეიმუშავა. ამ საკითხისადმი ევროკავშირის კომპლექსური მიდგომა მოიცავს სურსათის, მათ შორის ახალი ხილისა და ბოსტნეულის, წარმოების ყველა ეტაპს და ასპექტს, ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორცაა საკვების დამაბინძურებლები, პესტიციდები, სურსათის შეფუთვა და ეტიკეტირება, კვების ახალი პროდუქტები და გენმოდიფიცირებული ორგანიზმები. ამ კანონმდებლობაში მოცემული მოთხოვნები ვრცელდება როგორც ევროკავშირში წარმოებულ, ასევე ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქტებზე და ამდენად, ისინი მესამე ქვეყნების ექსპორტიორებისთვისაც საყურადღებოა.

სურსათის უვნებლობის პრინციპების დაცვას და ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას უზრუნველყოფს ევროპის სურსათის უვნებლობის სამსახური. ევროპის სურსათის უვნებლობის სამსახურის დანიშნულებაა ევროკავშირის სურსათის უვნებლობის გაუმჯობესება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. სამსახური

8 ISPM15 – მცენარის დაცვის საერთაშორისო კონვენციის მიერ შემუშავებული საერთაშორისო ფიტოსანიტარული ბეჭედი შესაფუთად გამოყენებული ხის მასალისთვის.

მუდმივად ახორციელებს სურსათის უვნებლობის, ასევე ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის რისკის შეფასებებს. რისკის შეფასების საფუძველზე, ევროპის სურსათის უვნებლობის სამსახური შეიმუშავებს და ევროკომისიას აწვდის მეცნიერულ რეკომენდაციებს, რაც შემდგომში ევროკავშირის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობაში აისახება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2002 წლის 28 იანვრის No 178/2002 რეგულაციის მიხედვით, სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირში სურსათის იმპორტიორს ეკისრება. თუ იმპორტიორს საფუძველიანი ეჭვი აქვს, რომ მის მიერ ევროკავშირში შეტანილი პროდუქცია არ აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის სტანდარტებს, მან დაუყოვნებლივ უნდა ამოიღოს საეჭვო საქონელი ბაზრიდან და ამის შესახებ აცნობოს ევროკავშირის შესაბამისი წევრი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტმა უკვე მიაღწია მომხმარებელამდე, დისტრიბუტორმა მომხმარებელს სათანადო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს პროდუქციის ბაზრიდან ამოღების თაობაზე.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის No 178/2002 რეგულაციის თანახმად, ევროკავშირის ბაზარზე საქონლის შეტანისას იმპორტიორმა სურსათის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე უნდა უზრუნველყოს და უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ იმპორტისთვის გამზადებული სურსათი არ არის მავნებელი და ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მავნებელი სურსათის მიკვლევადაობის უზრუნველსაყოფად, სურსათის იმპორტიორი ვალდებულია, ფლობდეს ინფორმაციას როგორც იმპორტისთვის განკუთვნილი სურსათის წარმოშობის, ასევე სურსათის მწარმოებლის შესახებ. ზემოთ აღნიშნული რეგულაციის მე-18 მუხლის თანახმად, ევროკავშირის ბაზარზე სურსათის შეტანისას, იმპორტიორმა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებას, საჭიროების შემთხვევაში, შემდეგი ინფორმაცია უნდა წარუდგინოს:

- მესამე ქვეყნის მიმწოდებლის სახელი და მისამართი, პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა და ტრანზაქციის თარიღი;
- პროდუქციის მოცულობა და ხარისხი, პროდუქციის დეტალური აღწერილობა და რიგითი ნომერი;

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის No 852/2004 რეგულაცია აწესებს ჰიგიენის ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც სურსათის მწარმოებლებმა უნდა დააკმაყოფილონ. სურსათის მწარმოებელი ვალდებულია:

- დაიცვას სურსათი ჰაერისგან, ნიადაგისგან, წყლისგან, სასუქისგან, ცხოველების, მავნებლების და სხვა შესაძლო ფაქტორებისგან გამოწვეული დაბინძურებისგან;
- სურსათს განარიდოს დაბინძურების საფრთხის შემცველი ნივთიერებები;
- დაიცვას სურსათის წარმოებისთვის გამოყენებული აღჭურვი-

ლობის, მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სისუფთავე;

- უზრუნველყოს სურსათის ჰიგიენურად წარმოება, ტრანსპორტირება და შენახვა;
- სურსათის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენოს სასმელი ან სუფთა წყალი;
- უზრუნველყოს სურსათის წარმოების პროცესში მონაწილე პერსონალის ჯანმრთელობის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- გაითვალისწინოს მცენარის გამოკვლევების შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვანია ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობისთვის;
- კანონთა დღევანდელ ფარგლებში გამოიყენოს მცენარის დასაცავი პროდუქტები და ბიოციდები;
- აღწეროს მის მიერ გატარებული პრევენციული ზომები, განსაკუთრებით მანებლებისა და დაავადებების გავრცელების ან ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი შემოწმებების ჩატარების დროს მცენარის დასაცავი პროდუქტებისა და ბიოციდების გამოყენების შემთხვევაში.

ახალი ხილი და ბოსტნეული, ისევე როგორც სხვა სახის სურსათი, შეიძლება აღმოჩნდეს მიკრობიოლოგიური დაბინძურების საფრთხის წინაშე. საფრთხეს ძირითადად წარმოადგენს ორი პათოგენური ბაქტერია – სალმონელა და ლისტერია. ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ევროკავშირი აწესებს სურსათის მიკრობიოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც მესამე ქვეყნიდან იმპორტირებულ პროდუქციაზეც ვრცელდება.

სურსათის მიკრობიოლოგიური მოთხოვნები მოცემულია ევროკომისიის 2005 წლის 15 ნოემბრის No 2073/2005 რეგულაციაში. რეგულაციის პირველი დანართი ადგენს სპეციფიკური მიკრობების ლიმიტებს საკვების სხვადასხვა კატეგორიისთვის, მათ შორის ახალი ხილისა და ბოსტნეულის გარკვეული სახეობებისთვის. სალმონელას გავრცელების საფრთხესთან დაკავშირებით, რეგულაციაში აღსანიშნავია “აყვავებული თესლის” და საკვებად გამზადებული “დაჭრილი ხილისა და ბოსტნეულის” კატეგორიები. ასეთი სურსათის არცერთი ერთეული არ უნდა შეიცავდეს სალმონელას. ოფიციალური შემოწმებისთვის უნდა მოხდეს 25 გრ. სინჯის 5 ერთეულად აღება. სალმონელას თუნდაც სინჯის ერთ ერთეულში აღმოჩენის შემთხვევაში პროდუქტი არ უნდა იქნას დაშვებული ბაზარზე.

ლისტერიის შემთხვევაში, საყურადღებოა რეგულაციაში მოცემული სურსათის შემდეგი კატეგორია “საჭმელად გამზადებული საკვები, რომელიც ხელს უწყობს ლისტერიის მონოციტოგენის ზრდას, გარდა ბაჭყვის საკვებისა და სამედიცინო დანიშნულების პროდუქტებისა”. ბაქტერიის დასაშვები რაოდენობა და სინჯის აღების მოთხოვნა ლისტერიოზისთვისაც იგივეა და იგი პროდუქტის ჯერ კიდევ მწარმოებ-

ლის კონტროლის ქვეშ ყოფნის ეტაპზე ხორციელდება. პროდუქტის ბაზარზე შეტანის შემდეგ სინჯი უნდა გაკეთდეს 1 გრ. რაოდენობით 5 ერთეულად. თითოეულ ერთეულში დასაშვებია მხოლოდ 100 cfu/g (მიკროორგანიზმების კოლონიის შემქმნელი ერთეული/გრამზე) ბაქტერიის არსებობა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის დაწესებული მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების დაცვა და მათი მონიტორინგი, მათ შორის იმპორტირებულ პროდუქციაზე. ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური უწყება ახდენს ამ კრიტერიუმების მიხედვით საკვები პროდუქტების შემოწმებას როგორც ევროკავშირის ბაზარზე მათ შეტანამდე, ასევე ბაზარზე მოხვედრის შემდეგ. კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, იმპორტისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფო ამის შესახებ ევროკომისიას აცნობებს. თუ იმპორტი უკვე განხორციელდა და მანებელმა პროდუქციამ მომხმარებელამდე მიადწია, მანებელი პროდუქცია ბაზრიდან ამოღებულ უნდა იქნას და ექსპორტიორს ეკისრება მომხმარებლის სათანადო ინფორმირების ვალდებულება.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული სურსათი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის დამაბინძურებელი ნივთიერებების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს. სურსათის “დაბინძურება” განისაზღვრება, როგორც ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური უცხო ნივთიერების არსებობა, რომელიც არ არის მიზანშეწონილი სურსათისთვის, მიუხედავად იმისა საზიანოა ის თუ არა ცხოველის ან ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის. სურსათში დამაბინძურებელი ნივთიერება როგორც მისი წარმოებისა და მარკეტინგის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე გარემოს დაბინძურების შედეგადაც შეიძლება აღმოჩნდეს.

ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის No 1881/2006 რეგულაცია აღგენს გარკვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის ზღვრულ დონეს კვების პროდუქტებისთვის, მათ შორის ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის:

- ნიტრატის შემცველობა ისპანახსა და სალათაში;
- სხვადასხვა მიკოტოქსინის შემცველობა თხილებში, მშრალ ხილში, ბურღულეულში და სხვა;
- მეტალების შემცველობა ხილში, ბოსტნეულში, კენკრაში და სხვა;
- 3- მეთილ-ციკლო-პროპენის (3-MCPD) შემცველობა პიდროლიზებულ მცენარეულ ცილებში და სხვა.

აღნიშნული მოთხოვნების დაცვა მკაცრად კონტროლდება ევროკავშირის ბაზარზე სურსათის ექსპორტისას. ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე პროდუქციას უტარდება შერჩევითი ლაბორატორიული

9 [http://ec.europa.eu/food/food/controls/foodfeed/sampling\\_testing.pdf](http://ec.europa.eu/food/food/controls/foodfeed/sampling_testing.pdf)

შემოწმება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ევროკავშირის შესაბამისი უწყებები ექსპორტს შეაჩერებენ.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის No 396/2005 რეგულაცია და ამ რეგულაციაზე დაყრდნობით შემუშავებული ევროკომისიის შესაბამისი დირექტივები, არეგულირებენ სურსათში დასაშვები პესტიციდების გამოყენებას. პესტიციდი არის ბიოლოგიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება საკვების, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის საზიანო მავნებლების გასანადგურებლად ან მათი კონტროლისთვის. ასეთი მავნებლებია: მღრღნელები, მწერები, სოკოები და მცენარეები. მათ საწინააღმდეგოდ შეიძლება მხოლოდ ოფიციალურად დაშვებული პესტიციდების გამოყენება.

ევროკავშირის საბჭოს 1978 წლის 21 დეკემბრის No 79/117 დირექტივის მიხედვით, აკრძალულია შემდეგი პესტიციდების გამოყენება:

**A. დარიშხანის ნაერთები:**

- ვერცხლისწყლის ოქსიდი;
- ვერცხლისწყლის ქლორიდი (კალომელი);
- ვერცხლისწყლის შემცველი სხვა არაორგანული ნაერთები;
- ვერცხლისწყლის ტუტეების შემცველი ნაერთები;
- ალკოქსიალკილები და ვერცხლისწყლის არილების შემცველი ნაერთები.

**B. არადეგრადირებადი ქლორორგანული ნივთიერებები:**

- ალდრინი;
- ქლორდანი;
- დიელდრინი;
- დდტ (დიქლორო-დიფენილ-ტრიქლორეთანი);
- ენდრინი;
- ჰექსაქლორანი, რომელიც შეიცავს 99%-ზე ნაკლებ გამა იზომერს;
- ჰექტაქლორანი;
- ჰექსაქლორბენზენი;

**C. სხვა ნაერთები:**

- ეთილენის ოქსიდი;
- ნიტროფენი;
- 1,2-დიბრომეთანი;
- 1,2- დიქლორეთანი;
- დინოსები (ძმარმუავა და ჩვეულებრივი მარილები);
- ბინაპაკრილი;
- კაპტაფოლი;
- დიკოფოლი (რომელიც შეიცავს 78 %-ზე ნაკლებ დიკოფოლს ან 1გ/კგ-ზე მეტ დდტ-ს);
- მაღენის მუავის ჰიდრაზიდი (გარდა ქოლინის, ფოსფორის და სოდის მარილებისა);
- ქოლინის, ფოსფორის და სოდის მარილები, რომლებიც შეიცავენ 1 მგ/კგ-ზე მეტ ჰიდრაზინს;

- ქინტოზენი, რომელიც შეიცავს 1 მგ/კგ-ზე მეტ პექსაქლორბენზენს ან 10გ/კგ-ზე მეტ პენტაქლორბენზენს.

ევროკავშირი ადგენს პესტიციდების დასაშვებ რაოდენობას კვების პროდუქტებისთვის. ნარჩენის ზღვრული რაოდენობა (MRLs – Maximum Residue Levels) არის პესტიციდის კონცენტრაციის მაქსიმალური რაოდენობა სურსათში, რომელიც განსაზღვრულია ინდივიდუალური ნაყოფის/პესტიციდის კომბინაციისთვის. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის No 396/2005 რეგულაცია აწესებს ნარჩენის ზღვრულ დონეს 600 სუბსტანციისთვის, რაც დაწვრილებით მოცემულია ევროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზაში<sup>10</sup>.

ახალი ხილისა და ბოსტნეულის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ექსპორტისთვის განკუთვნილ სურსათში პესტიციდების რაოდენობა არ აღემატებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ პესტიციდების ნარჩენის ზღვრულ რაოდენობას. ევროკავშირში შესვლის ადგილზე ჩატარებული შერჩევითი შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, ტვირთი ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება. ექსპორტირებმა ასევე თვალყური უნდა ადევნონ ნარჩენის ზღვრული რაოდენობის ცვლილებას, რათა ევროკავშირის ახალი მოთხოვნები დროულად (ექსპორტის განხორციელებამდე) იქნეს გათვალისწინებული.

სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობა ასევე არეგულირებს სურსათში საკვები დანამატების დასაშვებ რაოდენობას. “საკვები დანამატი”, ევროკავშირის საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის No 89/107 დირექტივის მიხედვით განისაზღვრება, როგორც “ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც არ მოიხმარება როგორც საკვები და არ წარმოადგენს საკვების მახასიათებელ ინგრედიენტს, რომლის საკვებში გამიზნულად გამოყენებაც ტექნოლოგიური დანიშნულებით წარმოების, გადამუშავების, მომზადების, დამუშავების, შეფუთვის, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოიწვევს მის გადაქცევას ამ საკვების კომპონენტად”.

აღნიშნული დირექტივით დაშვებულია საკვები დანამატების მხოლოდ შემდეგი კატეგორიების გამოყენება:

- ფერი;
- კონსერვანტი;
- ანტი-ოქსიდანტი;
- ემულგატორი;
- მარილ-ემულგატორი;
- გამათხელებელი;
- ექვე ნივთიერება;
- შტაბილიზატორი;
- გემოს გამაუმჯობესებელი;
- მჟავა;
- მჟავის რეგულატორი;

10 [http://ec.europa.eu/sanco\\_pesticides/public/index.cfm](http://ec.europa.eu/sanco_pesticides/public/index.cfm).

- გამოცხობის საწინააღმდეგო ნივთიერება;
- მოდიფიცირებული სახამებელი;
- დამატებელი;
- გასაფუებული ნივთიერება;
- აქაფების საწინააღმდეგო ნივთიერება;
- მოჭიქვის ნივთიერება;
- ფქვილის დასამუშავებელი ნივთიერება;
- გამამყარებელი ნივთიერება;
- ჰიგროსკოპული ნივთიერება;
- სექვესტრანტი (4);
- ფერმენტი (4) (5);
- შემავსებელი;
- სამოდრაო და შესაფუთი აირი;
- ასაქაფებელი ნივთიერება.

საკვები დანამატების უმეტესობის გამოყენება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითაა დაშვებული გარკვეული სასურსათო პროდუქტებისთვის. საკვების ზოგიერთი დანამატისთვის არ არის დაწესებული მაქსიმალური ზღვარი, თუმცა მათი გამოყენება უნდა მოხდეს სათანადო საწარმოო პრაქტიკის შესაბამისად, ისეთი რაოდენობით, რაც აუცილებელია კონკრეტული მიზნის მისაღწევად და რაც არ იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. საკვები დანამატი, ასეთის შემცველობის შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს სურსათის ეტიკეტზე.

ახალი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის ფორმა

CERTIFICATE OF CONFORMITY WITH THE COMMUNITY MARKETING STANDARDS FOR FRESH FRUIT AND VEGETABLES MENTIONED IN ARTICLES 11, 12 AND 12a

1. Trader		<b>Certificate of conformity with the Community marketing standards applicable to fresh fruit and vegetables</b>  <b>No .....</b>  (This certificate is exclusively for the use of inspection bodies)		
2. Packer identified on packaging (if other than trader)		3. Inspection body		
		4. Place of inspection / country of origin (*)	5. Region or country of destination	
6. Identifier of means of transport		7. <input type="checkbox"/> Internal <input type="checkbox"/> Import <input type="checkbox"/> Export		
8. Packages (number and type)	9. Type of product (variety if the standard specifies)	10. Quality class	11. Total net weight in kg	
-				
-				
12. The consignment referred to above conforms, at the issue time, with the Community marketing standards in force. ..... Customs office foreseen ..... Place and date of issue..... Valid until (date): ..... Signatory (name in block letters):..... <div style="display: flex; justify-content: space-around;"> <span>Signature</span> <span>Seal of the competent authority</span> </div>				
13. Observations				

(\*) Where the goods are being re-exported, indicate the origin in box 9.

ახალი ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გამოყენების  
სერტიფიკატის ფორმა

1. Trader		<b>Certificate of industrial use</b> <b>(Fresh fruit and vegetables subject to</b> <b>Community marketing standards)</b>  <b>No .....</b>	
2. Identifier of means of transport		3. Inspection body issuing the certificate	
4. Intended industrial use/ Name and address of processor		5. Inspection body for the region where processing is to take place	
6. Number of packages or the words 'in bulk'	7. Nature of goods/country of origin	8. Total weight in kg gross/net (1)	
9. ..... Inspection Customs office foreseen: entry/exit (1) ..... Place and date of issue ..... stamp ..... Inspector ..... Signature (Name in block letters)			
10. Comments			
11. The processor certifies that the product indicated above has been processed.  Place and date: ..... Signature ..... Stamp			
12. The present certificate shall be returned, signed and stamped in box 11, after processing of the goods mentioned in boxes 6, 7 and 8, to the inspection body mentioned in box 5.			

ფიტოსანიტარული სერტიფიკატის ფორმა

<b>1</b> Name and address of exporter <input type="checkbox"/>		<b>2</b> <b>PHYTOSANITARY CERTIFICATE</b> <b>No EC / /</b>	
<b>3</b> Declared name and address of consignee		<b>4</b> Plant protection organisation of  to plant protection organisation(s) of	
		<b>5</b> Place of origin	
<b>6</b> Declared means of conveyance			
<b>7</b> Declared point of entry			
<b>8</b> Distinguishing marks: number and description of packages; name of produce; botanical name of plants		<b>9</b> Quantity declared	
<b>10</b> This is to certify that the plants or plant products described above: — have been inspected according to appropriate procedures, and — are considered to be free from quarantine pests, and practically free from other injurious pests, and — are considered to conform with the current phytosanitary regulations of the importing country			
<b>11</b> Additional declaration			
<b>DISINFESTATION AND/OR DISINFECTION TREATMENT</b>		Place of issue	
<b>12</b> Treatment		Date	
<b>13</b> Chemical (active ingredient)	<b>14</b> Duration and temperature	Name and signature of authorised officer	
<b>15</b> Concentration	<b>16</b> Date	Stamp of organisation	
<b>17</b> Additional information			

## ვიტოსანიტარული სერტიფიკატის ფორმა რეექსპორტისთვის

<b>1</b> Name and address of exporter <input style="width: 95%; height: 20px;" type="text"/>	<b>2</b> <b>PHYTOSANITARY                  CERTIFICATE FOR RE-EXPORT</b> No EC / /											
<b>3</b> Declared name and address of consignee  <input style="width: 95%; height: 40px;" type="text"/>	<b>4</b> Plant protection organisation of  to plant protection organisation(s) of  <b>5</b> Place of origin  <input style="width: 95%; height: 40px;" type="text"/>											
<b>6</b> Declared means of conveyance  <input style="width: 95%; height: 40px;" type="text"/>	<b>7</b> Declared point of entry  <input style="width: 95%; height: 40px;" type="text"/>											
<b>8</b> Distinguishing marks; number and description of packages; name of produce; botanical name of plants  <input style="width: 95%; height: 80px;" type="text"/>	<b>9</b> Quantity declared  <input style="width: 95%; height: 80px;" type="text"/>											
<b>10</b> This is to certify — that the plants or plant products described above were imported into ..... (country of re-export) from ..... (country of origin) covered by phytosanitary certificate No ..... (*) <input type="checkbox"/> original <input type="checkbox"/> certified true copy of which is attached to this certificate. — that they are (*) <input type="checkbox"/> packed <input type="checkbox"/> repacked in <input type="checkbox"/> original <input type="checkbox"/> new containers — that based on the (*) <input type="checkbox"/> original phytosanitary certificate and <input type="checkbox"/> additional inspection, they are considered to conform with the current phytosanitary regulation of the importing country, and — that during storage in ..... (country of re-export) the consignment has not been subjected to the risk of infestation or infection. (*) Insert tick in appropriate boxes												
<b>11</b> Additional declaration  <input style="width: 95%; height: 40px;" type="text"/>												
<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td colspan="2" style="text-align: center; font-weight: bold; padding: 2px;">DISINFESTATION AND/OR DISINFECTION TREATMENT</td> <td rowspan="5" style="padding: 5px; vertical-align: top;">                     Place of issue                       Date                      Name and signature of authorised officer                       Stamp of organisation                 </td> </tr> <tr> <td style="width: 30%; padding: 2px;"><b>12</b> Treatment</td> <td style="width: 70%; padding: 2px;"><input style="width: 95%; height: 20px;" type="text"/></td> </tr> <tr> <td style="padding: 2px;"><b>13</b> Chemical (active ingredient)</td> <td style="padding: 2px;"><b>14</b> Duration and temperature</td> </tr> <tr> <td style="padding: 2px;"><b>15</b> Concentration</td> <td style="padding: 2px;"><b>16</b> Date</td> </tr> <tr> <td colspan="2" style="padding: 2px;"><b>17</b> Additional information</td> </tr> </table>		DISINFESTATION AND/OR DISINFECTION TREATMENT		Place of issue  Date Name and signature of authorised officer  Stamp of organisation	<b>12</b> Treatment	<input style="width: 95%; height: 20px;" type="text"/>	<b>13</b> Chemical (active ingredient)	<b>14</b> Duration and temperature	<b>15</b> Concentration	<b>16</b> Date	<b>17</b> Additional information	
DISINFESTATION AND/OR DISINFECTION TREATMENT		Place of issue  Date Name and signature of authorised officer  Stamp of organisation										
<b>12</b> Treatment	<input style="width: 95%; height: 20px;" type="text"/>											
<b>13</b> Chemical (active ingredient)	<b>14</b> Duration and temperature											
<b>15</b> Concentration	<b>16</b> Date											
<b>17</b> Additional information												

მცენარის გადაადგილების დოკუმენტი

1. Plant health movement document as referred to in Article 1(3)(c) of Commission Directive 2004/103/EC		2. PLANT HEALTH MOVEMENT DOCUMENT No EC/.../... (1)	
3. Identification of consignment (2) — This consignment contains produce of phytosanitary relevance — Plant, plant product or other object (TARIC code): ..... Reference number(s) of required phytosanitary documentation: ..... Country of issue: ..... Date of issue: ..... Distinguishing mark(s), numbers, number of packages, amount (weights/units): ..... Reference number(s) of required customs documentation: .....			
4. Official registration number of importer: ..... I, the undersigned importer, hereby request the responsible official body to carry out the official identity checks and plant health checks of the abovementioned plants, plant products or other objects at the approved place of inspection listed below and I undertake to respect the rules and procedures set by the responsible official body. Date, name and signature of importer: .....			
5.1. Point of entry:		5.2. Countersigning by official body of point of entry (date, name, service stamp and signature): ..... .....	
6. Approved place(s) of inspection (3) A- ..... B- (replaces A) ..... .....			
The plants, plant products or other objects are moved to the abovementioned place(s) of inspection in accordance with the agreement concluded between (4) .....			
<b>The consignment may not be moved to places other than those listed above unless this has been officially approved.</b>			
7. Documentary check <input type="checkbox"/>		8. Identity check <input type="checkbox"/>	
9. Plant health check <input type="checkbox"/>			
Place/date: .....	Place/date: .....	Place/date: .....	
Name: .....	Name: .....	Name: .....	
Service stamp/signature:	Service stamp/signature:	Service stamp/signature:	
10. Decision: <input type="checkbox"/> Release Place/date: ..... Name: ..... Service stamp/signature: Indicate EC Plant Passport (serial or week or batch) number when appropriate: .....			
<input type="checkbox"/> Official measure			
<input type="checkbox"/> Refusal of entry		<input type="checkbox"/> Destruction	
<input type="checkbox"/> Movement outside the Community		<input type="checkbox"/> Quarantine period	
<input type="checkbox"/> Removal of infected/infested produce		<input type="checkbox"/> Appropriate treatment	
Remark: .....			

(1) Make reference to country code/number.

(2) Fill in box or make reference to information on Phytosanitary certificate which must be attached.

(3) Make reference to 'C' (Article 13c(2)(c) of Directive 2000/29/EC) or 'D' (Article 13c(2)(d) of Directive 2000/29/EC).

(4) When appropriate, give details on agreement between Member States' official services, either on a case-by-case agreement or on the basis of a longer-term agreement.

**პუბლიკაციაში გამოყენებული ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტები**

1. ევროკავშირის საბჭოს 2007 წლის 22 ოქტომბრის No 1234/2007 რეგულაცია;
2. ევროკომისიის 2007 წლის 21 დეკემბრის No 1580/2007 რეგულაცია;
3. ევროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის No 1221/2008 რეგულაცია;
4. ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის No 2000/29 დირექტივა;
5. ევროკომისიის 2004 წლის 7 ოქტომბრის No 2004/103 დირექტივა;
6. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის No 178/2002 რეგულაცია;
7. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის No 852/2004 რეგულაცია;
8. ევროკომისიის 2005 წლის 15 ნოემბრის No 2073/2005 რეგულაცია;
9. ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის No 1881/2006 რეგულაცია;
10. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის No 396/2005 რეგულაცია;
11. ევროკავშირის საბჭოს 1978 წლის 21 დეკემბრის No 79/117 დირექტივა;
12. ევროკავშირის საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის No 89/107 დირექტივა.

## SUMMARY

# EXPORT OF FRESH FRUITS AND VEGETABLES FROM THIRD COUNTRIES TO THE EUROPEAN UNION MARKET

## 1. FORWARD

Present publication describes the requirements for export of Fresh Fruits and Vegetables to the European Union market. Accessing the EU market by third country exporters of Fresh Fruits and Vegetables requires compliance with regulations designed by the EU to ensure food safety and plant health within the EU. The EU also sets marketing standards for Fresh Fruits and Vegetables which are also applicable for imports from third countries (including Georgia). In addition to the strict regulatory framework, exporters of Fresh Fruits and Vegetables should be aware of certification and inspection rules at the point of entry into the EU.

The EU legislation defines two main food categories: food of animal origin and non-animal origin. All agricultural products including Fresh Fruits and Vegetables belong to the latter. Fresh Fruits and Vegetables include fresh fruits, vegetables, herbs, sprouts, mushrooms as well as precut ready to eat fruits and vegetables. Food of non-animal origin is entitled to less strict import rules in the EU than the food of animal origin. While third country exporters of products of animal origin need to acquire a special imports approval from the EU (and need an adjunction to the list of third country enterprises, which are allowed to export food of animal origin to the EU market) this rule doesn't apply to the exporters of the products of non-animal origin. However, third country exporters of Fresh Fruits and Vegetables still must comply with the relevant EU legislation, which is provided in the present publication.

## 2. MARKETING STANDARDS FOR FRESH FRUITS AND VEGETABLES

The EU sets general and specific marketing standards for Fresh Fruits and Vegetables, which are laid down in the European Commission Regulation No 1221/2008 of 5 December 2008. According to the EU marketing standards, Fresh Fruits and Vegetables are allowed on the EU market, if the products are sound, of market quality and if the country of origin is marked on the product. Marketing standards specify the quality, classification, size, packaging, storing, transporting, presentation and labeling requirements of the products. The purpose of marketing standards is to inform consumers about the quality of the product and its origin. General marketing standards are provided in Annex A of the European Commission Regulation No 1221/2008 of 5

December 2008. General marketing standards determine minimum quality requirements for Fresh Fruits and Vegetables, also minimum maturity requirements, tolerance to those requirements and a requirement to mark the origin of produce.

In order to ensure that Fresh Fruits and Vegetables exports from third countries meet the EU marketing standards, exporters are required to have a Certificate of Conformity. Certificate of Conformity indicates that the exported products comply with the EU marketing standards. Certificate of Conformity can be acquired by the third country exporters either in the exporting country or at the point of entry into the European Union. Inspection bodies of the EU Member States carry out conformity checks of consignments of Fresh Fruits and Vegetables with the information provided in the Certificate of Conformity. Relevant certification and inspection procedures are described in the second chapter of the publication and model Certificate of Conformity can be found in the Annex.

### 3. SPECIFIC MARKETING STANDARDS FOR CITRUS FRUIT

According to the Commission Regulation No 1221/2008 of 5 December 2008, Specific marketing standards apply only to the following 10 products: apples, citrus fruit, kiwifruit, lettuces, peaches and nectarines, pears, strawberries, sweet peppers, table grapes and tomatoes. Third chapter of this publication provides information on the specific marketing standards for citrus fruits which is one of the major export products in Georgia.

Specific marketing standards for citrus fruit apply to varieties of lemons, mandarins and oranges. Specific marketing standards for citrus fruit consist of minimum quality requirements, maturity requirements defined by **colouring and minimum juice content**, classification, sizing, presentation, and provisions concerning marking of the produce.

### 4. SANITARY AND PHYTOSANITARY MEASURES FOR PLANTS AND PLANT PRODUCTS

The EU has developed a set of sanitary and phytosanitary measures which ensure human and plant health within the European Union. These requirements are laid down in the Council Directive No 2000/29 of May 8 2000. The EU **phytosanitary measures** also apply to certain plant products including some fruits and vegetables. Third country exporters are required to provide a Phytosanitary Certificate at the point of entry into the European Union. Therefore, it is essential for third country exporters of Fresh Fruits and Vegetables to comply with EU's sanitary and phytosanitary measures for plants and plant products.

Phytosanitary Certificate must be issued by the competent authority in the third country and must confirm that the exported agricultural products are not contaminated with harmful chemical contaminants or micro-organisms, which can cause harm to

human or plant health and which are capable of carrying plant diseases. The model Phytosanitary Certificates are provided in the annex of the present publication.

Conformity checks for phytosanitary requirements for plants and plant products are carried out by the inspection bodies of the EU Member States at point of entry into the European Union. Council Directive No 2000/29 of May 8, 2000 stipulates physical, documentary and identity checks of consignments of plants and plant products. If the inspection detects harmful organisms or plant diseases the exporters will be refused to enter the EU. In some cases the harmful plant and plant product consignments may be destroyed at the place of inspection.

## **5. FOOD SAFETY AND HYGIENE REQUIREMENTS OF THE EUROPEAN UNION**

Exports of Fresh Fruits and Vegetables to the EU market is subject to strict check of compliance with regard to EU food safety and hygiene requirements, such as restrictions on certain food additives, pesticide residues and chemical contaminants. Member States of the European Union decide where to carry out the official checks and random testing - at point of entry, distribution or retail sale.

The EU food safety legislation is built on the Regulation of the Council and Parliament No 178/2002 of January 22, 2002, which stipulates that all imported food shall comply with EU food safety standards. Under this regulation, food business operator (i.e. importer) is responsible for traceability of the food exported to the EU, which means that the importer should be able to provide all necessary information about the primary production and post harvest handling of the produce in order to satisfy EU food safety requirements. If the importer has a reasonable concern about the quality of the food imported in the EU the importer should inform relevant authorities and the food must be withdrawn from the EU market.

Last chapter of this publication provides general hygiene requirements for primary production of food, which are also applicable to growing and harvesting of fruits and vegetables. This chapter also describes relevant EU rules on microbiological contamination, chemical contaminants, pesticides approved for use in the EU and those which are banned, also harmonised Maximum Residue Levels (MRLs) for pesticides and food additives.



